# საქართველოს კანონი

## „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონს (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 25) დაემატოს შემდეგი შინაარსის $32^1$ მუხლი:

**„მუხლი $32^1$. უფლებები ფასიან ქაღალდებზე**

1. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რეგისტრირებულ ფასიან ქაღალდებზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ანგარიშია გახსნილი.

2. დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის დასადგენად გამოიყენება „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის დებულებები.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

16 ნოემბერი 2023 წ.

N3719-XIIIმს-Xმპ